ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალი/LAW

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში საშუალოდ – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

1. პროგრამის მიზნები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ ღირებულებათა დამკვიდრების ხელშეწყობა;
- სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, იურისტის საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მეთოდების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება საჯარო, კერძო, საერთაშორისო და/ან სისხლის სამართლის დარგებში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. სწავლის შედეგები (კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

ცოდნა და გაცნობიერება
აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ფართო, ხოლო

სპეციალიზაციის სფეროს (საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის) სიღრმისეული ცოდნა, რაც აისახება ქვედარგის სტრუქტურის, ინსტიტუტებისა და სპეციალიზაციის საგნების ცოდნაში. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

კურსდამთავრებულმა იცის: სამართლის ცნება და ფუნქციები, თეორიები, ძირითადი პრინციპები, სამართლის ნორმის სტრუქტურა და სახეები, განმარტების მეთოდები, სამართლის შეფარდება, სამართლის ენა და სამართლის სისტემები; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, ძველი ქართული სამართლის ცალკეული დარგები და ინსტიტუტები, რომის სამართლის საფუძვლები. სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროები, ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები; კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (პირები, გარიგებები, ვადები). სანივთო (ქონებრივი) სამართალი (ქონება, მფლობელობა, საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები); ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი დებულებანი, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები); საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი; შრომის სამართალი (შრომითი და თანმდევი ურთიერთობები); საკორპორაციო სამართალი (პირთა და კაპიტალის გაერთიანების სამართლებრივი ფორმები); ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები, ადმინისტრაციული ურთიერთობის სუბიექტები, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და მათი განხორციელების წესები; სისხლის სამართლის ძირითადი ცნებები, პრინციპები და ინსტიტუტები, ცალკეული დანაშაულები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების პრინციპები, საქმისწარმოების თავისებურებანი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შესწევს უნარი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის.

აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი.

შეუძლია დამოუკიდებლად ან/და მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, წესდების, საჩივრის, სარჩელის, ესსეს და ა.შ.) შედგენა.

დასკვნის უნარი

აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.

გააჩნია სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შეგროვების, განმარტების, ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

აქვს ინფორმაციის მშობლიურ და არანაკლებ ერთ უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობით ფორმით, ანგარიშის მომზადებისა და ინფორმაციის გადაცემის უნარი. ასევე შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

სწავლის უნარი

აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნების უნარი. შეუძლია დაადგინოს ინფორმაციის წყაროები (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.), მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია. შესწევს ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავებისა და მუდმივი განახლების უნარი

ღირებულებები

იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებს ზოგადსამართლებრივ ღირებულებებს და იცავს

პროფესიული ეთიკის ნორმებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

4. სწავლება-სწავლის მეთოდები

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ სემინარი ☒ პრაქტიკული მუშაობა ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება ☐ ელექტრონული სწავლება ☐ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

5. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

6. დასაქმების სფეროები

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

7. სწავლის გაგრძელების საშუალება

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

8. პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ბაკალავრებისათვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- 2500 მ2 ფართზე განლაგებული სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა იურიდიული ფაკულტეტთან არსებული სასემინარო ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები (სულ 15 000-ზე მეტი ეგზემპლარი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა);
- 130 კომპიუტერი ინტერნეტის თავისუფალი წვდომით;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი და მედიაციის ცენტრი.

9. პროგრამის ადამიანური რესურსი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (18 პროფესორი, 25 ასოცირებული პროფესორი, 10 ასისტენტ-პროფესორი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები (126 მოწვეული სპეციალისტი/პროფესორი), რომელთაც აქვთ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართი №2.

10. საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან.

გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე და ა.შ..

11.პროგრამის ხელმძღვანელი

მიმართულების ხელმძღვანელი ყველა პროფესორი; პროგრამას ადმინისტრირებას უწევს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

11. პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის მოდულის (A), სამართლის საფუძვლებისა და ისტორიის კომპონენტის (B), საჯარო სამართლის მოდულის (C), კერძო სამართლის მოდულის (D), სისხლის სამართლის მოდულის (E), ასევე თავისუფალი კომპონენტისგან (F).

მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და თითოეული მათგანის შესწავლა შესაძლებელია, სავალდებულო წინაპირობა იყოს პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისა.

(A)	**უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის მოდული**	უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის მოდული ორიენტირებულია უცხოური ენის შესწავლაზე და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, უცხოენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე. უცხოური (ინგლისური) ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 25 (ერთ რომელიმე უცხო ენაში) კრედიტის მოცულობით, 5 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. ამასთან, ბოლო სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან სპეციალობისათვის რელევანტურ უცხოურ ენას. სამართალის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელიც წარმოადგენს უცხოური ენის სერტიფიკატს ან უც-ხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი), თსუ-ის უცხო ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდება უცხო ენის ოთხი საფეხურისაგან. ამ შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს მოდულისათვის გათვალისწინებული კრედიტები შეავსოს თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების ან/და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე. უცხოური ენის მოდულიდან სავალდებულოა 5 კრედიტის დაგროვება - სასწავლო კურსის უცხოური ენა იურისტებისათვის ხარჯზე.
(B)	**სამართლის საფუძვლებისა და ისტორიის კომპონენტი**	სამართლის საფუძვლებისა და ისტორიის კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. სამართლის საფუძვლებისა და ისტორიის კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 15 კრედიტი. სამართლის საფუძვლებისა და ისტორიის კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სამართლის ისტორიისა და სამართლის მეთოდების სფეროში. სამართლის საფუძვლებისა და ისტორიის კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულოა მინიმუმ 10 კრედიტის დაგროვება.
(C)	**საჯარო სამართლის მოდული**	საჯარო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 40 კრედიტი. საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულოა მინიმუმ 10 კრედიტის დაგროვება. ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შესაძლებელია შეეთავაზოთ უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (მოწვეული პროფესორის/ლექტორის) მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსები.
(D)	**კერძო სამართლის მოდული**	კერძო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 57 კრედიტი.

		კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა კერძო სამართლის სფეროში. კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულოა მინიმუმ 10 კრედიტის დაგროვება. ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შესაძლებელია შეეთავაზოთ უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (მოწვეული პროფესორის/ლექტორის) მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსები.
(E)	**სისხლის სამართლის მოდული**	სისხლის სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 33 კრედიტი. სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში. სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულოა მინიმუმ 10 კრედიტის დაგროვება. ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შესაძლებელია შეეთავაზოთ უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (მოწვეული პროფესორის/ლექტორის) მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსები.
(F)	**თავისუფალი კომპონენტი**	სტუდენტს შეუძლია საკუთარი სურვილის შესაბამისად შეისწავლოს არაიურიდიული დისციპლინები, რათა გაიღრმავოს ცოდნა ცალკეულ დარგში და ამავედროულად დარწმუნდეს თავისი პროფესიის არჩევანის სისწორეში. თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა სტუდენტს შეუძლია თსუ-ის საბაკალავრო საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, ასევე სხვა ავტორიზებული უსდ-ის შესაბამისი პროგრამებიდან, არაუმეტეს 20 კრედიტის მოცულობით. სტუდენტი უფლება აქვს თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების მოდულისათვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობა შეავსოს სპეციალობის მოდულების არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

სპეციალობის სასწავლო კურსები/მოდულები

სასწავლო კურსის №	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS კრედიტი/საათი	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა		სწავლების სემესტრი	წინაპირობა
			საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები		
უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის მოდული						
მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები (25 კრედიტი)						
1.1.1	უცხოური ენა - 1	5/125	55	70	1	არ გააჩნია
1.1.2	უცხოური ენა - 2	5/125	55	70	2	1.1.1
1.1.3	უცხოური ენა - 3	5/125	55	70	3	1.1.2
1.1.4	უცხოური ენა - 4	5/125	55	70	4	1.1.3
1.1.5	უცხოური ენა იურისტებისთვის	5/125	55	70	5	1.1.4
სამართლის საფუძვლებისა და ისტორიის კომპონენტი						
კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (15 კრედიტი)						
2.1.1	შესავალი სამართლისმცოდნეობაში	5/125	55	70	1	არ გააჩნია
2.1.2	რომის სამართლის საფუძვლები	5/125	55	70	1	არ გააჩნია
2.1.3	ქართული სამართლის ისტორია	5/125	55	70	1	არ გააჩნია
კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები						
2.2.1	სამართლის მეთოდები	5/125	55	70	2-8	2.1.1
2.2.2	საკანონმდებლო ტექნიკა	5/125	43	82	3-8	3.1.2
2.2.3	შესავალი სამართლის ფილოსოფიაში	5/125	55	70	2-8	არ გააჩნია
2.2.4	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	5/125	55	70	2-8	არ გააჩნია
2.2.5	ქართული ჩვეულებითი სამართალი	5/125	55	70	2-8	არ გააჩნია
2.2.6	ისლამური სამართალი	5/125	55	70	2-8	არ გააჩნია
2.2.7	ქართული სამართლებრივი აზრის ისტორია	5/125	55	70	2-8	არ გააჩნია
მოდულის დასახელება - საჯარო სამართალი						
მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები (40 კრედიტი)						
3.1.1	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	5/125	55	70	1	არ გააჩნია
3.1.2	საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი	5/125	55	70	2	3.1.1
3.1.3	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	5/125	55	70	3	3.1.2
3.1.4	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი I (საჯარო მმართველობა)	5/125	55	70	3	3.1.2
3.1.5	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II (ადმინისტრაციული წარმოება)	5/125	55	70	4	3.1.4

3.1.6	საერთაშორისო საჯარო სამართალი	5/125	55	70	4	3.1.2
3.1.7	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	5/125	55	70	6	3.1.5/4.1.6
3.1.8	საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი	5/125	43	82	7-8	3.1.3/3.1.6/3.1.7
მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები[1]						
3.2.1	საარჩევნო სამართალი	5/125	43	82	3-8	3.1.2
3.2.2	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	5/125	43	82	3-8	3.1.2
3.2.3	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	5/125	43	82	4-8	3.1.3
3.2.4	საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება	5/125	43	82	4-8	3.1.3
3.2.5	პოლიტიკური პარტიების სამართალი	5/125	43	82	4-8	3.1.3
3.2.6	სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია	5/125	43	82	3-8	3.1.2
3.2.7	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კონსტიტუციურ სამართალში	5/125	43	82	4-8	3.1.3
3.2.8	სამოხელეო სამართალი	5/125	43	82	4-8	3.1.4
3.2.9	სააღსრულებო სამართალი	5/125	43	82	5-8	3.1.5
3.2.10	საგადასახადო სამართალი	5/125	55	70	7-8	3.1.7
3.2.11	სამშენებლო სამართალი	5/125	43	82	5-8	3.1.5
3.2.12	ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	5/125	43	82	5-8	3.1.5
3.2.13	საპოლიციო სამართალი	5/125	43	82	7-8	3.1.7
3.2.14	გარემოს დაცვის სამართალი (საფუძვლები)	5/125	43	82	5-8	3.1.5
3.1.15	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	5/125	30	95	5-8	3.1.6
3.2.16	საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი	5/125	30	95	5-8	3.1.6
3.2.17	ევროკავშირის ორგანიზაცია და სამართალი	5/125	30	95	5-8	3.1.6
3.2.18	საერთაშორისო საზღვაო სამართალი	5/125	43	82	5-8	3.1.6
3.2.19	საერთაშორისო საჰაერო სამართალი	5/125	30	95	5-8	3.1.6
3.2.20	საერთაშორისო ორგანიზაციების და ტრანსნაციონალური კომპანიების სამართალი	5/125	55	70	5-8	3.1.6
3.2.21	საერთაშორისო სისხლის სამართალი – I (კონცეფციები)	5/125	30	95	5-8	3.1.6/5.1.1
3.2.22	საერთაშორისო სისხლის სამართალი – II (ინსტიტუტები)	5/125	30	95	5-8	3.1.6/5.1.1
3.2.23	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	5/125	30	95	5-8	3.1.6

[1] სასწავლო კურსების „საერთაშორისო საზღვაო სამართალი“, „საერთაშორისო სისხლის სამართალი – I (კონცეფციები)“, „საერთაშორისო სისხლის სამართალი – II (ინსტიტუტები)“, „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“, „საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი“ - შესასწავლად სტუდენტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას.

3.2.25	ლტოლვილთა საერთაშრისო სამართალი	5/125	43	82	5-8	3.1.6
3.2.25	საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი	5/125	43	82	5-8	3.1.6
მოდულის დასახელება - კერძო სამართალი (სავალდებულო 57 კრედიტი)						
მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები						
4.1.1	შესავალი სამოქალაქო სამართალში	5/125	55	70	1	არ გააჩნია
4.1.2	სანივთო სამართალი	5/125	55	70	2	4.1.1
4.1.3	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	5/125	55	70	3	4.1.1
4.1.4	სახელშეკრულებო სამართალი	6/150	55	95	4	4.1.3
4.1.5	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	5/125	55	70	5	4.1.3
4.1.6	სამოქალაქო სამართლის პროცესი -1	5/125	55	70	5	4.1.4
4.1.7	საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	5/125	55	70	5	4.1.4
4.1.8	შრომის სამართალი	5/125	55	70	6	4.1.4
4.1.9	სამოქალაქო სამართლის პროცესი -2	5/125	55	70	6	4.1.6
4.1.10	საკორპორაციო სამართალი	6/150	55	95	6	4.1.4
4.1.11	კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი	5/125	43	82	7-8	7.1.7/7.1.8/7.1.9/7.1.10
მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები						
4.2.1	გადახდისუუნარობის სამართალი	5/125	43	82	7-8	4.1.9
4.2.2	საერთაშორისო კერძო სამართალი	5/125	43	82	7-8	4.1.9
4.2.3	დაზღვევის სამართალი	5/125	43	82	5-8	4.1.4
4.2.4	ფასიანი ქაღალდების სამართალი	5/125	43	82	5-8	4.1.4
4.2.5	მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი	5/125	43	82	4-8	4.1.3
4.2.6	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	5/125	43	82	7-8	4.1.7
4.2.7	საბანკო სამართალი	5/125	43	82	7-8	4.1.10
4.2.8	სანოტარო სამართალი	5/125	43	82	7-8	4.1.9
4.2.9	მედიაცია – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება	5/125	43	82	7-8	4.1.9
4.2.10	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში	5/125	43	82	6-8	4.1.4/4.1.5
4.2.11	ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში	5/125	43	82	7-8	4.1.7/4.1.8
4.2.12	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	5/125	43	82	7-8	4.1.9
მოდულის დასახელება - სისხლის სამართალი						
მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები (33 კრედიტი)						
5.1.1	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	6/150	81	69	2	არ გააჩნია
5.1.2	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)	6/150	81	69	3	5.1.1
5.1.3	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები)	6/150	81	69	4	5.1.2

5.1.4	სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)	5/125	55	70	5	5.1.3
5.1.5	სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)	5/125	55	70	6	5.1.4
5.1.6	სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი	5/125	43	82	7-8	5.1.5
მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები						
5.2.1	სასჯელის შეფარდება	5/125	43	82	3-8	5.1.1
5.2.2	კრიმინოლოგია	5/125	43	82	5-8	5.1.3
5.2.3	სასჯელაღსრულების სამართალი	5/125	43	82	7-8	5.1.5
5.2.4	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია	5/125	43	82	5-8	5.1.3
5.2.5	კრიმინალისტიკა	5/125	43	82	7-8	5.1.5
5.2.6	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	5/125	43	82	7-8	5.1.5
5.2.7	მტკიცებითი სამართალი	5/125	43	82	7-8	5.1.5
5.2.8	ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმები	5/125	43	82	5-8	5.1.3
5.2.9	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში	5/125	43	82	5-8	5.1.3

სწავლების შედეგების რუკა

სასწავლო კურსის №	სასწავლო კურსის დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
	უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის მოდული						
	მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები (25 კრედიტი)						
1.1.1	უცხოური ენა - 1	X	X	X	X	X	
1.1.2	უცხოური ენა - 2	X	X	X	X	X	
1.1.3	უცხოური ენა - 3	X	X	X	X	X	
1.1.4	უცხოური ენა - 4	X	X	X	X	X	
1.1.5	უცხოური ენა იურისტებისთვის	X	X	X	X	X	
	სამართლის საფუძვლებისა და ისტორიის კომპონენტი						
	კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (15 კრედიტი)						
2.1.1	შესავალი სამართლისმცოდნეობაში	X	X	X	X	X	
2.1.2	რომის სამართლის საფუძვლები	X	X	X	X		
2.1.3	ქართული სამართლის ისტორია	X	X	X	X		X
	კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები						
2.2.1	სამართლის მეთოდები	X	X	X	X	X	
2.2.2	საკანონმდებლო ტექნიკა	X	X	X	X		
2.2.3	შესავალი სამართლის ფილოსოფიაში	X	X	X	X		
2.2.4	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	X	X	X	X		
2.2.5	ქართული ჩვეულებითი სამართალი	X	X	X	X		
2.2.6	ისლამური სამართალი	X	X	X	X		
2.2.7	ქართული სამართლებრივი აზრის ისტორია	X	X	X	X		
	მოდულის დასახელება - საჯარო სამართალი						
	მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები (40 კრედიტი)						
3.1.1	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	X	X	X	X	X	
3.1.2	საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი	X	X	X	X	X	X

3.1.3	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	X	X	X	X	X	X
3.1.4	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი I (საჯარო მმართველობა)	X	X	X	X	X	X
3.1.5	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II (ადმინისტრაციული წარმოება)	X	X	X	X	X	X
3.1.6	საერთაშორისო საჯარო სამართალი	X	X	X	X	X	X
3.1.7	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	X	X	X	X	X	X
3.1.8	საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი	X	X	X	X	X	X
	მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები						
3.2.1	საარჩევნო სამართალი	X	X	X	X	X	X
3.2.2	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	X	X	X	X	X	X
3.2.3	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	X	X	X	X		
3.2.4	საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება	X	X	X	X	X	X
3.2.5	პოლიტიკური პარტიების სამართალი	X	X	X	X	X	X
3.2.6	სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია	X	X	X	X	X	X
3.2.7	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კონსტიტუციურ სამართალში	X	X	X	X		
3.2.8	სამოხელეო სამართალი	X	X	X	X	X	X
3.2.9	სააღსრულებო სამართალი	X	X	X	X	X	X
3.2.10	საგადასახადო სამართალი	X	X	X	X	X	X
3.2.11	სამშენებლო სამართალი	X	X	X	X	X	X
3.2.12	ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	X	X	X	X	X	X
3.2.13	საპოლიციო სამართალი	X	X	X	X	X	X
3.2.14	გარემოს დაცვის სამართალი (საფუძვლები)	X	X	X	X	X	
3.1.15	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	X	X	X	X	X	X
3.2.16	საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი	X	X	X	X	X	
3.2.17	ევროკავშირის ორგანიზაცია და სამართალი	X	X	X	X	X	
3.2.18	საერთაშორისო საზღვაო სამართალი	X	X	X	X	X	
3.2.19	საერთაშორისო საჰაერო სამართალი	X	X	X	X	X	
3.2.20	საერთაშორისო ორგანიზაციების და ტრანსნაციონალური კომპანიების სამართალი	X	X	X	X	X	
3.2.21	საერთაშორისო სისხლის სამართალი – I (კონცეფციები)	X	X	X	X	X	
3.2.22	საერთაშორისო სისხლის სამართალი – II (ინსტიტუტები)	X	X	X	X	X	
3.2.23	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	X	X	X	X	X	
3.2.25	ლტოლვილთა საერთაშრისო სამართალი	X	X	X	X	X	
3.2.25	საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი	X	X	X	X	X	

	მოდულის დასახელება - კერძო სამართალი (სავალდებულო 57 კრედიტი)						
	მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები						
4.1.1	შესავალი სამოქალაქო სამართალში	X	X	X	X	X	
4.1.2	სანივთო სამართალი	X	X	X	X	X	
4.1.3	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	X	X	X	X	X	
4.1.4	სახელშეკრულებო სამართალი	X	X	X	X	X	X
4.1.5	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	X	X	X	X	X	
4.1.6	სამოქალაქო სამართლის პროცესი -1	X	X	X	X	X	X
4.1.7	საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	X	X	X	X	X	
4.1.8	შრომის სამართალი	X	X	X	X	X	
4.1.9	სამოქალაქო სამართლის პროცესი -2	X	X	X	X	X	X
4.1.10	საკორპორაციო სამართალი	X	X	X	X	X	X
4.1.11	კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი	X	X	X	X	X	X
	მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები						
4.2.1	გადახდისუუნარობის სამართალი	X	X	X	X	X	
4.2.2	საერთაშორისო კერძო სამართალი	X	X	X	X	X	
4.2.3	დაზღვევის სამართალი	X	X	X	X	X	
4.2.4	ფასიანი ქაღალდების სამართალი	X	X	X	X	X	
4.2.5	მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი	X	X	X	X	X	
4.2.6	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	X	X	X	X	X	
4.2.7	საბანკო სამართალი	X	X	X	X	X	
4.2.8	სანოტარო სამართალი	X	X	X	X	X	
4.2.9	მედიაცია – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება	X	X	X	X	X	
4.2.10	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში	X	X	X	X		
4.2.11	ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში	X	X	X	X		
4.2.12	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	X	X	X	X	X	
	მოდულის დასახელება - სისხლის სამართალი						
	მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები (33 კრედიტი)						
5.1.1	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	X	X	X	X	X	
5.1.2	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)	X	X	X	X	X	X
5.1.3	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები)	X	X	X	X	X	X
5.1.4	სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)	X	X	X	X	X	X
5.1.5	სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)	X	X	X	X	X	X
5.1.6	სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი	X	X	X	X	X	X

	მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები						
5.2.1	სასჯელის შეფარდება	X	X	X	X	X	X
5.2.2	კრიმინოლოგია	X	X	X	X	X	
5.2.3	სასჯელაღსრულების სამართალი	X	X	X	X	X	X
5.2.4	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია	X	X	X	X	X	X
5.2.5	კრიმინალისტიკა (დანაშაულის გახსნის მეთოდიკა)	X	X	X	X	X	X
5.2.6	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	X	X	X	X	X	
5.2.7	მტკიცებითი სამართალი	X	X	X	X	X	X
5.2.8	ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმები	X	X	X	X	X	X
5.2.9	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში	X	X	X	X		

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ (აკადემიური პერსონალი)		
№	სახელი, გვარი	აკადემიური თანამდებობა /სამეცნიერო ხარისხი
სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მიმართულებით		
1.	ხუბუა გიორგი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
2.	დავითაშვილი გიორგი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
3.	სურგულაძე ნუგზარი	პროფესორი / ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
4.	ჯანაშვილი ლელა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
5.	ბოსტოღანაშვილი დავითი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
6.	გარიშვილი მარინა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
7.	ფერაძე გოჩა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
8.	ნუცუბიძე მაკა	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
9.	ონიანი სულხან	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
10.	ჩაჩანიძე ელზა	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
11.	გეგენავა დიმიტრი	ასისტენტი / სამართლის დოქტორი
12.	წიგნაძე ანა	ასისტენტი / დოქტორანტი
საჯარო სამართლის მიმართულებით		
1.	კვერენჩხილაძე გიორგი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
2.	ჭიღლაძე ნანა	პროფესორი / სამართლის დოქტორი
3.	კობახიძე ირაკლი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
4.	კოპალეიშვილი მაია	პროფესორი / სამართლის დოქტორი
5.	ხარშილაძე ირმა	პროფესორი / სამართლის დოქტორი
6.	ტურავა პაატა	პროფესორი / სამართლის დოქტორი
7.	კახიანი გიორგი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
8.	თევდორაშვილი გიორგი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
9.	გონაშვილი ვასილი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
10.	ერემაძე ქეთევან	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
11.	ლორია ხათუნა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
12.	ქარდავა ეკატერინე	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
13.	გვარამაძე თამარი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
14.	ყალიჩავა კობა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი

15.	გოგიბერიძე გია	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
16.	კახიძე ირაკლი	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
17.	მაჭარაძე ზურაბ	ასისტენტი / დოქტორანტი
18.	ღვამიჩავა თამარი	ასისტენტი / დოქტორანტი
საერთაშორისო სამართლის მიმართულებით		
1.	ალექსიძე ლევანი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
2.	კორკელია კონსტანტინე	პროფესორი / სამართლის დოქტორი
3.	ქურდაძე ირინე	პროფესორი / სამართლის დოქტორი
4.	ხუციშვილი ქეთევან	პროფესორი / სამართლის დოქტორი
5.	სირაძე ეკა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
6.	პატარაია დავითი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
7.	ბითაძე მაია	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
8.	კევლიშვილი მარიამი	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
9.	რუხაძე ნინო	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
10.	ფიფია საბა	ასისტენტი / სამართლის დოქტორი
11.	აღაპიშვილი ირინა	ასისტენტი / დოქტორანტი
კერძო/ბიზნეს სამართლის მიმართულებით		
1.	ზოიძე ბესარიონი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
2.	ნინიძე თევდორე	პროფესორი / სამართლის დოქტორი
3.	ჭანტურია ლადო	პროფესორი / სამართლის დოქტორი
4.	ბურდული ირაკლი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
5.	ძლიერიშვილი ზურაბ	პროფესორი / სამართლის დოქტორი
6.	ზამბახიძე თამარი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
7.	ჩაჩავა სოფიო	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
8.	ცისკაძე მარიამ	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
9.	ცერცვაძე გიორგი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
10.	ზარანდია თამარ	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
11.	შენგელია ეკატერინე	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
12.	ზოიძე თამარ	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი

13.	მახარობლიშვილი გიორგი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
14.	მოწონელიძე ნატალია	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
15.	ჩიტაშვილი ნათია	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
16.	რუსიაშვილი გიორგი	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
17.	სვანაძე გიორგი	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
18.	ქოჩაშვილი ქეთევანი	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
19.	ამირანაშვილი გიორგი	ასისტენტი / დოქტორანტი
20.	ბერეკაშვილი დიანა	ასისტენტი / დოქტორანტი
21.	გაწერილია აკაკი	ასისტენტი / დოქტორანტი
22.	ეგნატაშვილი დემეტრე	ასისტენტი / დოქტორანტი
23.	ლაფაჩი ეკატერინე	ასისტენტი / სამართლის დოქტორი
24.	საძაგლიშვილი დიმიტრი	ასისტენტი / დოქტორანტი
25.	ჯორბენაძე სერგი	ასისტენტი / სამართლის დოქტორი
სისხლის სამართლის მიმართულებით		
1.	ივანიძე მაია	პროფესორი / სამართლის დოქტორი
2.	ფაფიაშვილი ლალი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
3.	ტურავა მერაბი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
4.	თოდუა ნონა	პროფესორი / სამართლის დოქტორი
5.	აქუბარდია ირინა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
6.	თუმანიშვილი გიორგი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
7.	შალიკაშვილი მორისი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
8.	დვალიძე ირაკლი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
9.	გოგნიაშვილი ნინო	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
10.	გორაშვილი გიორგი	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
11.	მაღლაკელიძე ლავრენტი	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
12.	ცქიტიშვილი თემური	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
13.	ხარანაული ლევანი	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
14.	ხერხეულიძე ირინე	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
15.	მეურმიშვილი ბესიკი	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
16.	ბერიშვილი თამარ	ასისტენტი / დოქტორანტი
17.	ოხანაშვილი ანრი	ასისტენტი / დოქტორანტი

18.	დგებუაძე გიორგი	ასისტენტი / სამართლის დოქტორი
19.	ხოდელი მაკა	ასისტენტი / დოქტორანტი
20.	ტატიშვილი მაგდა	ასისტენტი / დოქტორანტი
21.	ჩაკვეტაძე გიორგი	ასისტენტი / დოქტორანტი
ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ (მოწვეული პერსონალი)		
№	**სახელი, გვარი**	**სამეცნიერო ხარისხი**
საჯარო სამართლის მიმართულებით		
1.	როგავა ზვიად	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
2.	ქალდანი თამარ	მოწვეული ლექტორი
საერთაშორისო სამართლის მიმართულებით		
1.	ლაპიაშვილი ნათია	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
2.	გეფერიძე დავითი	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
კერძო/ბიზნეს სამართლის მიმართულებით		
1.	ძირკველიშვილი ლაზარე	მოწვეული ლექტორი
2.	ზარნაძე ეკა	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
3.	კვანტალიანი ნუნუ	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
4.	ჯორბენაძე სანდრო	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
5.	გოთუა ლევანი	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი